საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1279 2017 წლის 22 ივნისი ქ. თბილისი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება ხაშურის მუნიციპალიტეტს, 2017 წლის 10 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის №1213 განკარგულების საფუძველზე მისთვის გამოყოფილი თანხის ფარგლებში.

№1

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**